ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: ეკა შავიძე

3. ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს. ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის განცხადების განხილვა ფრაქციიდან გასვლის შესახებ

   მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 დეკემბრის მორიგი სხდომის

ოქმი N 21

2022 წლის 05 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე,, ეკატერინე შველიძე,ნანა გორგაძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 29 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსი - საბიუჯეტო ა სამსახურის უფროსი

ეკა შავიძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს დირექტორი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულს საკითხებში

მ. შარიქაძე საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა.ა.(ი)პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

მ შათირიშვილი-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე გაზეთის „ჩემი იმერეთი“ ჟურნალისტი

ს გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: ეკა შავიძე

3.ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის განცხადების განხილვა ფრაქციიდან გასვლის შესახებ

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ **(თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე,

კ. გოგსაძემ- რომელმაც დააყენა წინადადება საზრიანთა და მხიარულთა კონკურსში გამარჯვებული ხარაგაულის გუნდის ჭირიმეს მატერიალუს წახალისებაზე,

ვ. ჭიპაშვილმა, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინადადება მიღებულია, გავითვალისწინებთ.

ი. სებისკვერაძემ დააყენა წინადადება ხარაგაულის ტაძრის დარბაზის გათბობაზე წირვის დღეებში მაინც,

ე. შველიძემ -დააყენა წინადადება მარტოხელა დედების დახმარების გაზრდაზე

ვ. ჭიპაშვილმა მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეკლესიაზე ყოველგვარი ხარჯი გაიცემა ეპარქიის გადაწყვეტილებით, რაც შეეხება მარტოხელა დედებს მათ ესაჭიროებათ სტატუსი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს დირექტორის ეკა შავიძის ანგარიში გაწეული

საქმიანობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ლ. აბაშიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა აიპის საქმიანობა და აღნიშნა, რომ მოსახლეობა იღებს ინფორმაციას, ასევე მათთვის საჭირო საკითხებზე კონსულტაციას მოქმედი ცხელი ხაზის მეშვეობით,

ვ. ოდიკაძემ , რომელმაც აღნიშნა, რომ გაზეთში სწორად და ობიექტურად შუქდება ინფორმაციები, რაც მისასალმებელია, მაგალითად ჩვენი სკოლის ვებგვერდზე დადებული ინფორმაციაც კი იყო გაშუქებული, რისთვისაც მადლობას ვუხდი,

კ. გოგსაძემ, აღნიშნა, რომ თქვენს ბეჭდვით ორგანოში მე ვერ ვნახე კრიტიკული ინფორმაცია განთავსებული

ო. გაგოშიძემ, რომელმაც მომხსენებელს დაუსვა შეკითხვა თუ რა იყო გრანტის მოპოვების უპირატესობა

ე. შავიძემ უპასუხა, კარგად მომზადებული პროექტი და საჭიროების აუცილებლობის დანახვა, დასაბუთება,

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ ეტლებთან დაკავშირებით მართლაც კარგი საქმე კეთდება, ხალხი კმაყოფილია, რაც შეეხება გრანტს ეკამ მართლაც ბევრი იმუშავა, მათ საქმიანობას ვაფასებ დადებითად

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დ. კიკნაძის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 29 წევრი,

მომხრე 26

წინააღმდეგი 1

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილი ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ინფორმაციის ცნობად მიღების თაობაზე.

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილი ინფორმაცია - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის ფრაქციიდან გასვლის შესახებ

საკრებულოს ინფორმაცია მიიღო ცნობად

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**